,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)" დამტკიცების შესახებ

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის ------ სექტემბრის № ბრძანების

№1 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

„ფარმაცია (სააფთიაქო)“

საკონტაქტო ინფორმაცია:

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

მისამართი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15

ტელეფონი/ფაქსი: +995(422) 27–17–80

ვებ–გვერდი: bsu.edu.ge

ელ-ფოსტა: info@bsu.edu.ge;

პროგრამის ხელმძღვანელები:

მზია ბაკურიძე

ეთერ ჯაყელი

ბათუმი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

„ფარმაცია (სააფთიაქო)“

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე** - ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy

2. **ჩარჩო დოკუმენტის** „ფარმაცია (სააფთიაქო)/Pharmacy **დამტკიცების/ცვლილების თარიღი**: 22.02.2019; 16.04.2019; 19.02.2020; 19.04.2021; 25.06.2021; 29.10.2021; 13.12.2021

3. **სარეგისტრაციო ნომერი** 09110-პ

4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - პროგრამის დასრულების შედეგად პირს მიენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy

5. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:** მოამზადოს კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრი ჯანდაცვის სფეროსთვის, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღებას და განთავსებას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, მცირე შეფუთვებად მზა სამკურნალწამლო ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალების მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.

6. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება.

7. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**

   ფარმაციის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

8. სტრუქტურა და მოდულები:

საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით. იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია:

- **პროგრამის მოცულობა:** 123 კრედიტი
- **პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა:** 24 სასწავლო თვე

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია:

- **პროგრამის მოცულობა:** 153 კრედიტი
- **პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა:** 30 სასწავლო თვე

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ზოგადი მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	მეწარმეობა 3	3
2.	უცხოური ენა	5
3.	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
სულ		**11**
პროფესიული მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში	3
2.	სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია	3
3.	სითხოვანი სამკურნალწამლო ფორმების მომზადება	5
4.	მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმების მომზადება	5
5.	მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება	2

6.	პროდუქციის მიღება - განთავსება და ნაშთის პერიოდული კონტროლი	4
7.	მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში	2
8.	მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა	3
9.	მომხმარებლისთვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა	3
10.	მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა	2
11.	მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა	2
12.	ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები	4
13.	მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები	6
14.	ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები	5
15.	ბიოქიმია	4
16.	მიკრობიოლოგიის საფუძვლები	4
17.	ფარმაკოლოგია	7
18.	ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები	8
19.	ანალიზური ქიმიის საფუძვლები	4
20.	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1	4
21.	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2	6
22.	ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა	5
23.	ბოტანიკა	4
24.	სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული	7
25.	სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები	4
26.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	3
სულ		**109**
არჩევითი მოდული		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	მზა სამკურნალწამლო ფორმები	3
სულ:		**3**
სულ:		

9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) დასრულების შემდეგ პირს შეუძლია შეუძლია:

1. პროდუქცია ვიზუალურად შემოწმება;
2. თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობის დადგენა;
3. სასაქონლო ნიშნების და რაოდენობის შემოწმება;
4. პროდუქციის სათანადო ადგილზე განთავსება;
5. სააფთიაქო ნაშთის შემომავალი, პერიოდული და საბოლოო კონტროლი;
6. ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;
7. რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმების მომზადება;
8. მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპების გათვალისწინება;
9. განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
10. ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
11. პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური სამკურნალწამლო ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად სამკურნალწამლო ფორმების დაფასოების შესახებ ანგარიშის მომზადება–ჩაბარება;
12. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა.

10. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე ბსუ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო), რომელიც ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს. მოდულების „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“, „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“, „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“, „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“, „მომხმარებლისათვის

ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“, „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“, „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა“ პრაქტიკული ნაწილი განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში - აფთიაქში (საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ), ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე. ასევე, მოდულის „სანიტარიულ - ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ სწავლის შედეგი „სანიტარიულ - ჰიგიენური წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში - აფთიაქში (საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ), ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე.

11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს პროგრამის დასრულებამდე თუ ეს მოდულები არ წარმოადგენს სხვა მოდულების წინაპირობას, ხოლო მოდულების წინაპირობების შემთხვევაში განმეორებით შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს იმ მოდულის/მოდულების განხორციელებამდე რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს ეს მოდული. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

12. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივას.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) შემუშავების სამართლებრივი საფუძველი: „ფარმაცია (სააფთიაქო)" **ჩარჩო დოკუმენტი/**

15. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული (კოოპერაციული) სწავლების ფორმით.

საგანმანათლებლო პროგრამაში და მოდულებში გაწერილ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების ასახვის შემთხვევაში სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებულ იქნება აქტის/აქტების განახლებული ვერსია, მიუხედავად ჩარჩო დოკუმენტში არსებული ჩანაწერებისა. აგრეთვე, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისთვის შესაძლებელია, დამატებით გამოყენებულ იქნას სხვა აქტები, მათ შორის - საერთაშორისო შეთანხმებები და რეგულაციები.

16. დანართები:

დანართი 1. სასწავლო გეგმა

დანართი 2. მეწარმეობა 3

დანართი 3. უცხოური ენა

დანართი 4. ინფორმაციული წიგნიერება 2

დანართი 5. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში

დანართი 6. სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია

დანართი 7. სითხოვანი სამკურნალწამლო ფორმების მომზადება

დანართი 8. მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმების მომზადება

დანართი 9. მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება

დანართი 10. პროდუქციის მიღება - განთავსება და ნაშთის პერიოდული კონტროლი

დანართი 11. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში

დანართი 12. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა

დანართი 13. მომხმარებლისთვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა

დანართი 14. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა

დანართი 15. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა

დანართი 16. ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები

დანართი 17. მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები

დანართი 18. ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები

დანართი 19. ბიოქიმია

დანართი 20. მიკრობიოლოგიის საფუძვლები

დანართი 21. ფარმაკოლოგია

დანართი 22. ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

დანართი 23. ანალიზური ქიმიის საფუძვლები

დანართი 24. სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1

დანართი 25. სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2

დანართი 26. ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა

დანართი 27. ბოტანიკა

დანართი 28. სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული

დანართი 29. სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები

დანართი 30. პირველადი გადაუდებელი დახმარება

დანართი 31. მზა სამკურნალწამლო ფორმები

დანართი 32. ქართული ენა A2

დანართი 33. ქართული ენა B1

დანართი 34. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 35. სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი